(1)

№ 174

სამშაბათი, ~~12~~ აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

	მან. კ.	თვე	მან. კ.
2	10 —	6	6 —
1	9 50	5	5 50
0	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

(14)

№ 174

სამშაბათი, ~~12~~ აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18-ს აგვისტოს, სოფ. ბაკურციხის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

კნ. ეკატირინე ივანეს ასულის ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება. (3--172—3)

კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული და გენერალ-ლეიტენანტი **თავადი გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნიცნობთ პირველი ძვირფასის შვილისას და მეორე ძმისას თავადის.

დიმიტრი სპირ. ძის ხიმშიაშვილის

გარდაცვალებას ტფილისში 12 აგვისტოს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ (ოლგას ქუჩა, 4). დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (2—173—1)

კნეინა სოფიო დიმიტრის ასული და თავადი გრიგოლ ნიკოლოოზის ძე დასამიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—ძვირფასისა და დაუვიწყარის მამისა და მეორე—სიმამრის თავადის

დიმიტრი სპირ. ძის ხიმშიაშვილის

გარდაცვალებას ტფილისში 12 ამ თვეს. პანაშვიდი ყოველ დღეა საღამოს 7 სათზედ (ოლგას ქუჩა, №4). დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (2—174—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ადმყოფთათვის კრაოტები (ერთი
უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

უკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი
გინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეუ-
ლებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნე-
ვებისა და წამლობა ელექტრონით,
—10 საათ.

ვ. ვ. მაღალაშვილი.—შინა-
ან; სამშაბათობით და ხუთშაბათო-
ით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელი-
და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბი-
ის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10
—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერ-
ვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. ვ. ფედოროვი. შინაგან და
ავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურ-
ო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბა-
ობით. 3—4.

ი. დ. ბეზთაბეგოვი. სიფილისი-
ა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ვ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჰმართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (55გ—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოროლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ზ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ექიმი

კ. ი. ბძელიშვილი

გადავიდა

ელისაბედის ქუჩაზედ, № 15 (თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად). (5—ნ.—5)

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ი. ი. ოცხელისა

(ქ. ქუთაისში.)

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს 7-12 წლისა გიმნაზიის და რიალურ სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის; საყმაწვილო ბაღის მიზანია აღზარდოს და მოამზადოს სკოლისათვის 5-6 წლ. ყმაწვილები. სწავლა დაიწყება 3 ენკენისთვეს. (3—168—3)

მთავრ. განკარგულება

—

გადაყვანილ იქმნა ყუბანის ყაზახთა ვოისკოვოი სტარშინა თავ. ჯორჯაძე ამავე ჯარის 1-ლ ლაბინის რაზმში.

ახალი ამბავი.

—

⁂ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გუმბრიდგან 15 აგვისტოსათვის ბორჯომში აპირებს მიბრძანებას.

⁂ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლათ მთავრობას თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე დაუმტკიცებია.

⁂ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი სამსახურის საქმეებისა გამო 12 აგვისტოს ახალქალაქის მაზრაში წავიდა.

⁂ დღეს, 14 აგვისტოს, სიონის საკრებულო ტაძარში მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე მწუხრსა და ცისკარს ილოცავს, რადგანაც ხვალ დღეობაა ამ ტაძრისა.

⁂ როგორც ხმა დადის, საერო განათლების მინისტრი ვანნოვსკი ამ შემოდგომაზედ კავკასიის ნახვას თურმე აპირებს.

⁂ ტფილისის გუბერნიის საუფლისწულო მამულების სამმართველო სთხოვს ქალაქის გამგეობას ქალაქის მიწების პლანის პირი გაუგზავნოს, რადგანაც ქალაქსა და სამმართველოს შორის მიწების გამო სულ ერთ-თავად დავაა.

⁂ როგორც „ცნ. ფურც.“-ს შეუტყვია, საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო მთავრობას უწმიდესს სინოდში პროექტი წარუდგენია, რომ მთელის საეგზარხოსოს სამრევლო-საეკლესიო სკოლები ერთს ინსპექტორს დაუქვემდებარონ და ცალკე ეპარქიებში მხოლოდ მისი თანაშემწეები იქმნენ დანიშნულნი.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის საეპარქიო სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველი დეკ. ვოსტორგოვი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში თურმე გადაჰყავთ მისსიონერათ.

⁂ სამკურნალო დეპარტამენტს ყველა სამკურნალო სამმართველოებისათვის მიწერილობა გაუგზავნია თავისი მოსაზრებანი წარადგინონ, რა წესით შეიძლება ხელოვნურად მომზადებულ სამკურნალო წყლების ქარხნების გახსნის ნებართვა მისცენ ხოლმე და თვალყური როგორ ადევნონ ამ ქარხნებსა.

⁂ დ. სურამში 50 ავადმყოფისათვის სამკურნალოს ასაშენებლად 6,000 მან. გადაუდვიათ.

⁂ რადგანაც ქალაქის თვითმმართველობანი ბევრს საჭირო საგნებს საზღვარ-გარეთიდგან იბარებენ და შესაძლებელ-კია ყველა ეს ადგილობრივვე მომზადდეს, ფინანსთა სამინისტროს მიუმართნია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის რუსეთის მრეწველობისავე სარგებლობისათვის ხელი შეუწყოს ამ საქმეს, მიუწეროს ქალაქის თვითმმართველობათ, რომ აღნიშნული საგნები შეძლებისამებრ რუსეთის ქარხნებს შეუკვეთონ ხოლმე.

⁂ სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი დებულება საკომერციო ნავთ-სადგურების მართვა-გამგეობის შესახებ მომავალ წლამდე არ იქმნება შემოღებული. ახალის დებულებით ნავთსადგურის უფროსის ადგილის მიღების დროს უპირატესობა მიენიჭებათ ფლოტის აფიცრებს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭიროდ იცნო საკვირაო გაზ. „Недѣля“-ს გამოცემა შეწყვეტილ იქმნეს.

⁂ როგოც გაზ. „Новое Время“ სწერს, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კანვოის ადიუტანტი უგანათლებულესი თავ. ალექსანდრე ფერდინანდის ძე საინვიტგენშტეინ-ბერლებურგი 7 აგვისტოს დაუსაფლავებიათ. დასაფლავებას დასწრებიან მისი იმპერატორებითი უმაღლესობა თავადი ალექსანდრე გიორგის ძე რომანოვსკი გერცოგი ლეიხტენბერგისა, უგანათლებულესნი თავადნი მინგრელსკი და დადიანი, სასახლის კაცნი, მისის უდიდებულესობის კანვოის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონი ა. ე. მეიენდორფი, კანვოის ყველა აფიცრები და სხვ. კუბო მრავალის გვირგვინებითა ყოფილა შემკობილი და, სხვათა შორის, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისაგანაც ყოფილა ცოცხალის ყვავილებისაგან შეკრული მშვენიერი გვირგვინი. განსვენებულის გვამი წირვის შემდეგ ვარშავის რკინის გზით სივერსკის სადგურზედ წაუღიათ დრუჟნოსელიეს ვიტგენშტეინთა საკუთარს საგვარეულო აკლდამაში დასაკრძალავად.

⁂ როგორც გაზ. „Черн. Вѣстн.“ სწერს, მთელს ამიერ-კავკასიაში 280,000 დეს. თავისუფალი სახელმწიფო ადგილები თურმეა ამ ჟამად, რომ რუსეთიდგან გადმოსახლებულნი დაასახლონ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერი სწერს ტფილისის ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინონ, რომ ახ-

ეროვნული

ლად მოკირწყლული ქუჩები ან ხშირად მორწყონ ხოლმე, რომ ნაყარი სილა რიგზედ დაჯდეს, ან არა—და დახვეტონ ხოლმე, რადგანაც მოკირწყლული ქუჩის ცარიელ ადგილების ამოსავსებად ბევრს ქვიშას აყრიან ეტლების მოძრაობისაგან მტვერდება, ქარი ანიავებს და მცხოვრებლებს მეტად აწუხებს

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისაგან გუშინ წინადადება მიიღო ქალაქის გამგეობამ, რომ ნავთით გაჟღენთილი ქა-ადგილები ნათლუხში უთუოდ შემოღობონ, რადგანაც მალე აქ ჯარები იქნებიან დაყენებულნი.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავი ბორჯომიდგან ამ დღეებში დაბრუნდება.

⁂ რადგანაც მტკვრის ორსავე ნაპირებზედ ბევრგან ნაგავი იყრება და სხვა-და-სხვა დამპალ ნივთიერებათაგან ჰაერი სულმთლად იშხამება, ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ინსპექტორს ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია და ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის მიუწერია მტკვრის ნაპირები ნაყარ ნაგვისაგან დაუყოვნებლივ გაწმენდილ იქმნეს.

⁂ პოლიციის მე-3 ნაწილში 2 აგვისტოს გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ რევაზის ძემ გოგნიევმა განაცხადა, რომ მას სასტუმრო „როსსიაში“ ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა გაღებულ ფანჯრიდგან სხვა-და-სხვა ოქროს ნივთები მოჰპარა სულ 163 მან. ღირებულობისა; ეჭვი ქურდობისა იქვე მახლობლად მკერვალ ჯებოიანცზედ მიიტანეს, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ პოლიციის პირველს ნაწილში, წყნეთის ქუჩაზედ, თავ. ვაჩნაძე სახლს აშენებს. ამ შენობიდგან 12 აგვისტოს, მუშაობის დროს, ვიღაც მუშა ალა (გვარი არ იციან) გაუფრთხილებლობისა გამო ჩამოვარდნილა და მთლად დამტვრეულა. მართალია, დაშავებული მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, მაგრამ მკურნალებს ვეღარა უშველიათ-რა და რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაცვლილა.

⁂ ნოტანების სადგურიდგან იუწყებიან, რომ 11 აგვისტოს, მე-64 ვერსზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ რკინის გზის მოსამსახურე კარპოვი მოუკლავთ თოფით.

⁂ გუშინ-წინ, საღამოზედ, ასე 9 და 10 საათზედ ორჯელ იძრა მიწა ტფილისში.

⁂ სოფ. ავჭალის მცხოვრები გლეხი მიხ. ვარგანაშვილი 10 აგვისტოს მეტეხლეთა ქუჩაზედ ჯოვანის სახლში მცხოვრებ მაკა მაძინოვთან მისულა და მცირედ წალაპარაკების შემდეგ ჯიბის დანით ყელი გამოუჭრია. ვარგანაშვილს ამის შემდეგ ახლა თავისთვის უკრავს დანა და მუცელში ორგან დაჭრილა. მაძინოვისა ქმრიანი ქალი ყოფილა, მაგრამ ქმართან თურმე არ სცხოვრობდა. როგორც მკურნალები ამბობენ, ვარგანაშვილი საშიშრად არის თურმე დაჭრილი.

კავკასიის მომავალი გამოფენა

—

თანახმად გამოფენის გამგე კომიტეტის განკარგულებისა, კავკასიის გამოფენის ექსპონატების მიღება 20 აგვისტომდე კიდევ შეიძლება.

—

ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ნავთის კოშკი, ქ. ბაქოს პავილიონი და პანორამა შავი ქალაქისა 15,000 მან. არის დაზღვევებული.

ქიზიყის მატიანე.

I.

ქიზიყის წლევანდელი მოუსავლობა დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს მთელს სიღნაღის მაზრას. ქიზიყი ბეღელია მთელის სიღნაღისა, თელავის მაზრისა და საქათალის ოლქისა...თქვენი მტერი, ოდეს ამ ბეღელში თაგვები დაიწყებენ ფხაკუნს!

მოუსავლობა ქიზიყში არა იშვათი და მოულოდნელი შემთხვევაა. იგი გახშირდა, დედამიწა ხელს აღარ უწყობს მშრომელს, თითქოს ზეცა განურისხდა ქიზიყელს კაცსაო. რათა ხდება ეს? აქ ბუნების თვითნებობა მოქმედებს, თუ კაცსაც უძევს წილი,—აი საკითხი, რომელიც ღირსია განათლებულთა ყურადღებისა და კვლევა-ძიებისა. გარნა არ ძალმიძს ამ საგნის შესახებ მეც ჩემი სუსტი ხმა არ მოგაწვდინოთ.

ჩემის ფიქრით, რაც დრო და ჟამი გაივლის, ქიზიყი უფრო უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდება, მოუსავლობა უფრო და უფრო ქრონიკულ სენად გადიქცევა... და ხსნა-კი არსაიდამ არის. ასე იფიქრეთ, კერძო კაცი, რა გინდა ჭკუა და გონებაც შესწევდეს, ვერ მოახერხებს თავი დააღწიოს საზოგადო ქსელიდამ და და თავისი კერძო მეურნეობა მაინც უკეთ მოაწყოს.

ის მომაკვდინებელი სენი, რომელიც მთელს ქიზიყს სჭირს, რომელიც არის სათავე ქიზიყის მოუსავლობისა, გახლავთ ქიზიყის წესი მამულის მფლობელობისა. ქიზიყელმა კაცმა არ იცის „სითბო“ და „სიმშვენიერე“ მამულის საკუთრებისა. კარ-მიდამო და ვენახი,—აი ქიზიყელის ჭკუით „საკუთრება“. დანარჩენი: სახნავი, სათესი, სათიბი, ტყე, ეს არ შეიძლება კერძოთ ვისსამე საკუთარებათ იყოს; ეს სოფლისა, თემისა; სოფელია პატრონი და ის უნაწილებს თავისს წევრებს, უყოფს.

გამიჯვნის დროს 1895 წელს, როდესაც ცნობაში მოჰყავდათ, ვინ არის მესაკუთრე ქიზიყში, არც ერთმა გლეხმა მინდორს ხელი არ დაადვა და არა თქვა: „ეს ჩემი საკუთრებააო“. „სუ სახემწიფოაო“, გაიძახდნენ. ასეთს მას შეხედულობას ძალიან ცუდი იურიდიული შედეგი მოჰყვა. აზნაურშვილობამ, სამღვდელოებამა სიღნაღელმა ვაჭრებმა მრავალი ადგილები მოიგეს სასამართლოში საკუთრებათ და ქიზიყელი გლეხი-კი დარჩა ხელ-ცარიელი.

ეს არ იყო დროებით გონების დაბნელება და დაბრმავება ქიზიყელისა; ეს იყო მხოლოდ შედეგი მათის ძირითადის შეხედულობისა მამულის მფლობელობაზედ, იმ შეხედულობისა, რომელიც დაამკვიდრა მათ შორის წარსულმა ცხოვრებამ ისტორიაში და რომლის ფორმულა არის: მამული არ უნდა შეადგენდეს კერძო საკუთრებასაო; ეს ის პრინციპია, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან **Государственный соціализмъ**-სა.

თანახმად ამ შეხედულობისა, ქიზიყში ჯერ ისევ ძველის დროიდამ გამეფებულა საზოგადო მიწის მფლობელობა. მიწა-წყალი სათემოა და თემი გადაჰყოფს, გადმოჰყოფს ამ მიწა-წყალს, როცა ჰსურს და რა ნაირადაცა ჰსურს. არც კანონი უშლის ამ შემთხვევაში ხალხს. კანონი აძლევს სოფელს ერთობრივად მამულს და აღარ ერევა გაყოფისა და განაწილების საქმეში. აი, ნიშნობლივ, ეს უწეს-რიგობა მამულის მფლობელობისა უთხრის ქიზიყს ძირს და მიჰყავს სიღარიბის უფსკრულისაკენ. საცა ასეთი მიწის მფლობელობის უწეს-რიგობაა, იქ გვარობს მხოლოდ ერთი წესი მიწის შემუშავებისა, რომელსაც რუსები ეძახიან **хищническій способъ обработки**-ს; ქართულად ამას ჰქვიან ავიღე და აღარ მოგეო.

ისტორიულ დროიდგან მოკიდებული დღევანდლამდის იხვნება და იწოვება ერთი და იგივე მიწა და სამაგიეროდ-კი დედა-მიწას არა ეძლევა-რა. როდემდის? განა არ გამოიფიტება და არ ავერანდება მამული?

ასეთი მეურნეობა შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც მამული მოჭარბებული იყო. დღეს-კი სადღაა მოჭარბება!? ხალხი გამრავლდა, მამულები შემცირდა, ტყეები ჩამოერთვა ხალხს, გადმოსახლებულთა მრავალი ახალშენები დაკეთდა იქ, სადაც ადრე უდარდელი ქიზიყელი მარტო-ხელა ბატონობდა. ეხლანდელ დროში-კი ისევ ძველი წესი მიწის მფლობელობისა აუცილებლად დაჰღუპავს ქიზიყს. ოდნავ იღვიძებს შეგნება თვით ქიზიყელებშიაც, რომ დროა გადავიდნენ კერძო მფლობელობაზედ, მაგრამ სენს წამალი არ დაედება, უკეთუ იგი წამალი არ წამოვა ზევიდამ, ადმინისტრაციიდამ, ანუ კანონმდებლობიდამ; კერძო კაცი ამ საქმეში უძლურია.

აი, კერძო მაგალითიც საზოგადო მფლობელობის მავნებლობისა. სოფელს მაღაროში გაზაფხულზედ ერთმა გლეხმა თავისი წილი მამული შემოღობა და უნდოდა მიეცა სასუქი, ჩაეყარა ხე-ხილი, ვაზები, ერთის სიტყვით, დააპირა მამულის გაუმჯობესობა. მოვიდა სოფელი, ხალხი და დაქცუია ღობე: „რო ჰღობავ, ვის მამულსა ჰღობავო? დღეს თუ შენია ეს ადგილი, მერმის მე მერგება და რათა ჰღობავო?“

განა-ღა შეიძლება ასეთს მდგომარეობაში ჩაყენებულმა კაცმა მამული შეაკეთოს? თვალ-გადუწვდენელს მინდვრებზედ ერთი ხე არა სდგას, ერთი წყარო არსად არის, ერთი ჭა არსადაა ამოჭრილი. ვინ გააკეთებს და რადა?

აქ მხოლოდ ერთი უმთავრესი მავნებლობაა მამულის საერთო მფლობელობისა. ამ წესის მრავალს სხვა ცუდს თვისებასაც შემდეგს წერილებში მოგახსენებთ.

მიხეილ ნასიძე

დაბა და სოფელი

—

თელავი. ამ ზაფხულს თელავში ერთი კონცერტი და ერთიც მუსიკალურ-ვოკალურ-დრამატიული საღამო გაიმართა საქველ-მოქმედო აზრით. პირველი 21 მკათათვეს იყო ბ-ნის ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით გამართული და შემოსავალი თელავის სამუდამო სახალხო თეატრისა და წიგნთ-საცავის შენობის ფონდისათვის იქმნა გადადებული, მეორე 2 მარიამობისთვეს. რამდენადაც აზრი იყო საყურადღებო პირველისა, ისე თვით კონცერტის პროგრამმაც საყურადღებო იყო, რომელიც შესდგებოდა ქართულ-სომხურ და რუსული სიმღერებისაგან. მომღერალთა გუნდი სომეხ და ქართველ ქალებისა და ვაჟებისაგან იყო შემდგარი და მწყობრადაც შეასრულეს. სიმღერებში, სხვათა შორის, საზოგადოების ყურადღება მიიქცია სომხურმა სიმღერებმა, რომლებიც ბ-ნის ყარა-მურზასაგან არის მშვენივრად შემუშავებული და გაწყობილი ოთხ ხმაზედ. ახალი ქართულ სიმღერებიდგან ორი იყო: 1) „დიდება და ღმერთსა დიდება“—ხალხური, რომლითაც მლოცავნი საქართველოს დიდებულს ტაძრებს გარეშემო უვლიან ხოლმე და აგრეთვე გვალვისა და გარდამეტებულ წვიმების დროს პროცესიით დადიან სოფლითი-სოფლად და 2) „წავიდეთ მამა-პაპათა წმიდისა სალოცავადა.“ არც ერთი ეს სიმღერა არსად სცენაზედ არ უმღერიათ.

მეორე კონცერტი, როგორც მოგახსენეთ, 2-ს მარიამობის თვეს იყო ბ-ნის მონადირიშვილის ლოტბარობით გამართული. აზრი კონცერტისა რაღაც ქალების „მოდნი სამკერვალოს“ ხარჯის დაფარვა იყო. ბ-ნის მონადირიშვილის ხორო შესდგებოდა ნოტების მცოდნეთაგან, მუსიკასთან ცოტად თუ ბევრად გაცნობილთაგან (ზოგი როიალს უკრავს, ზოგიც სხვა რამ საკრავს), მზადებითაც თითქმის თვე-ნახევარს ემზადებოდნენ, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, ამისთანა ხელშემწყობს გარემოებასა და შრომას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვა: მღეროდნენ მეტად დუნეთ და მოწყენით, თითქოს ეზარებათო; ყოველივე სიამოვნება და მუსიკალური აღტაცება განდევნილი იყო.

ხალხი სწორედ უსიამოვნოდ დაიშლებოდა, რომ ბ-ნის ალექსი-მესხიშვილის ნიჭიერს თამაშობას (რუსული ერთ-მოქმედებიანი პიესა დასდგა) არ გამოებრუნებინა კონცერტი.

დამსწრე.

—

ს. ბორი. (შორაპნის მაზრა). წვიმებას შემდეგ აქეთ ისევ სიცხეები დაიწყო. იმედი გაგვიცრუვდა: გვეგონა სიმინდისა და ღვინის მოსავალი კარგი გვექნებოდა, მაგრამ, როგორც ეხლა ვუკვირდებით, ყურძნის მტევნები როგორღაც შეუმჩნევლადა ხმება და ცვივა; სიმინდიც ვერ არის კარგი, ასე რომ საერთოდ მოსავალს ძრიელ ცუდს მოველით.

აგერ მეორე თვე მიდის, ჩვენს სოფელში გადასადები სენი „მუცელა“ მძვინვარებს. იშვიათადა ჰნახავთ ოჯახს, ან დიდი ან პატარა ავად არ იყოს. იმერლები საერთოდ ძრიელ ერიდებიან გადამდებს ავადმყოფობასა და როდესაც ვინმე კვდება, ახლოს აღარ ეკარებიან. ასე მოუვიდა საცოდავს ი. მაჭ—ს, რომელსაც ამ დღეებში დედა მოუკვდა. მთელს სოფელში სამი თუ ოთხი მადლიანი კაცი ძლივს გამოჩნდა, რომ მიცვალებული სახლიდგან გამოეტანათ და დაესაფლავებინათ.

მაგრამ რა უფრო სამწუხარო და საკვირველია, ეს ის, რომ ამ ორს თვეში არც ექიმი და [illegible]
ლი თვალით არ გვინახავს, თუ
სენი ადგილობრივის ადმინის
ციის წარმომადგენელთ კარგად
ეხსენებათ და შეეძლოთ მაზ
მკურნალი ან ფერშალი მოეწვ
და სენის მოსასპობად რაიმე
ნის-ძიება მიეღოთ. ასეთ ავადმ
ფობის დროს, ჩემის აზრით, მ
რის მკურნალი ვალდებულია ხ
რად იაროს ხოლმე და უფრო ხ
რად-კი ფერშალი ჰგზავნოს, მაგ
ვინ არის ჩვენი პატრონი, ან
ნის გაჭირვებისა ვის რა ესმის,
ვინ გვიგდებს, არ ვიცით? მკურნ
გაჭირვებული ხალხისათვის არ
ლიან და ხალხს-კი მუსრი ევლ
სასურველია ამ გარემოებას,
განაც ჯერ არს, ფიცხლავ ყურ
ღება მიექცეს, სოფელს მოეხედ

ბორელი.

უცხოეთი

—

ინგლის-ტრანსვაალის ომ
გენერალი ლიტლტონი, რომელ
უნდათ დანიშნონ კიტჩენერ
ნაცვლად სამხრეთ-აფრიკის ინგლ
სის ჯარის მთავარ-სარდლად, ეს
უნიჭიერეს აფიცრად ითვლებ
ლიტლტონი ამჟამად 56 წლის
იგი მონაწილეობას იღებდა სუ
ნის ლაშქრობაში ლორდ კიტჩენ
რთან ერთად 1898 წ. და ჯა
უძღოდა ხარტუმში. მაშინ ინგლ
სის პარლამენტში ლიტლტონ
ბრწყინვალე მოღვაწეობისათვის
ბის გამოსაცხადებლად წინადადე
იქმნა შეტანილი. სამხრეთ აფრი
ყველა დიდს ომებშიაც ლიტლ
ონი მონაწილეობას იღებდა.

ინგლისმა უძლურობა გამ
იჩინა ბურებთან ომში და ახ
მას ირლანდიელთა აჯანყებაც მო
ლის. ირლანდიის აგიტატორ
დიდს მხნეობას იჩენენ. შეერთ
ბულს შტატებში ყოველ წელ
40,000 ირლანდიელი გარბის, უ
ტეს ნაწილად ახალგაზდა, ძა
ღონით სავსე ხალხი, რომელ
მიტინგებსა ჰმართავს, ფულს აგ
ოვებს და ემზადება აჯანყებისათვ
რომელსაც მიზნად აქვს ირლა
დიის სრულიად განთავისუფლე

კრიტოსი. როგორც ერ
გაზეთს ათინიდგან სწერენ, კრიტ
სში მეფის ძე გიორგი და საერ
კრება დასთანხმებიან დიდ სახ
ლმწიფოთა გარდაწყვეტილებასა
შეუცვლიათ თავისი აზრი ამ კუ
ძულის საბერძნეთთან შეერთებ
შესახებ. გიორგი რჩება დიდ სახე
მწიფოთა უმაღლეს კომისარა
კრიტოსსა და ათინაში მშვიდობი
ობას ხელი ძალიან შეუწყო რუსეთ
მთავრობამაო. მან დაარწმუ
მეფის ძე გიორგი და საბერძნე
მთავრობა, რომ კრიტოსის შეერ
რთება საბერძნეთთან მხოლ
დროს საქმეა, რადგანაც კუნძუ
ფაქტიურად დამოუკიდებელია. ყ
რადღება უნდა მიექციეს სულთან
რომლის მდგომარეობაც უფრო სა
შია ახალგაზდა ოსმალელთა მო
რაობისა გამო და რომლისათვ
საძნელოა—ძლევა-მოსილი ომ
შემდეგ თავისი ტერიტორიო დაუ
მოს დამარცხებულს მტერს. საბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნეთსა და კრიტოსში უმრავლე-
ობა დარწმუნებულია, რომ ამ
უნძულის საბერძნეთთან შემოერთე-
ბის ნამდვილი წინაალმდეგია სამთა
ავშირი გერმანიის თაოსნობითო.
ფიქრობდნენ, რომ მალე შეკრები-
ი იქმნება ევროპის კონფერენცია
რიტოსისა და ბალკანის ნახევარ-
უნძულის საქმეთა გარდასაწყვე-
ადო.

ჩინეთი გაზ. „Standard“-ს შან-
იდგან შემდეგს საყურადღებო
მბავს აუწყებენ: „ჩინეთის იმპერა-
რიცა, როგორც სიანფუდგან
სულ ცნობებიდგან სჩანს, ძალიან
ოცებული თურმე იყო პეტერბურ-
ში მყოფ ჩინეთის ელჩის იან-იუს
ერილით იმის შესახებ, რომ ინგლი-
ა და რუსეთმა საიდუმლო კონვენ-
ია დასდო, რომლის ძალითაც
ინი ერთმანეთს ხელს არ შეუ-
ლიან—ინგლისს დიდ კედლის სამ-
რეთით მოქმედებაში და რუსეთს
დილოეთითაო“ საინტეროსოა
ოდეთ მართლაც ზემოხსენებუ-
ი წერილი ჩინეთის ელჩმა იან-
უმ გაგზავნა პეტერბურგიდგან, თუ
ჩვეულებრივად მოგონილი ამბა-
ა?

……

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

—

როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგანა
ნს, ცხვრის მოშენებას ყველაზედ ძლიერ
ტრალიაში მისდევენ, ამიტომ ყველაზედ
მატყლს იქ ამზადებენ, სახელდობრ,
ლიწადში ამზადებენ:

ტრალიაში . . .	304	მილ. კილოგრამას
ენტინის რესპუბ ·	172	„
ერთებულ შტატ .	132	„
უსეთში	119	„
ნგლისში	64	„
რანგეთში . . .	46	„

ამ ქვეყნებს მისდევენ კაპის ახალშენი,
ანია, გერმანია, ავსტრია, დ ინდოეთი.
არიც ყველაზედ მეტი ავსტრალიაში
ვთ. აი ციფირები:

ტრალია	110	მილიონი
ენტინის რესპ .	75	„
უსეთი	45	„
ტები	38	„
ნგლისი	28	„
რანგეთი	21	„

ერთებულ შტატებში თუმცა რუსეთ-
ზე ნაკლები ცხვარი ჰყავთ, მაგრამ მატყლს
უფრო ბევრს ამზადებენ.

⁂

ქსანიშნავ არტისტ-ქალის სარა ბერნარის
ლს, მორის ბერნარს, ჰენრიკ სენკევი-
ნებართვით, დრამად გადაუკეთებინა
ი რომანი „ცეცხლითა და მახვილითა“.
ლ დრამას მომავალ სეზონში წარმოად-
ენ სარა ბერნარის თეატრში.

⁂

ნობილ ელექტრო-ტეხნიკოს ტესლას,
გაზეთებს დავუჯერებთ, უკვე გაუმარ-
უმავთულო ტელეგრაფი ევროპასა დ
იკის შუა დეპეშების გადასაცემად. ერთი
ელეგრაფო აპპარატი ნიუ-ჯერსეიშია
მე, ხოლო მეორე ლისაბონში.

⁂

როგორც ნიუ-იორკიდგან ევროპიულ
ზეთებს ატყობინებენ, სავანნის (გეორგიის
ტი) მახლობლად ცეცხლზედ დაუწვავთ
ცხლად ერთი ზანგი, რომელსაც
ის თეთრ-კანიანის ქალისთვის შეურაცხე-
ოუყენებია.

⁂

ას წინად ლონდონში ერთი ახალგაზდა
ი ველოსიპედიდგან გადმოვარდნილა დ
მაგრად დაცემულა, რომ გული შეჭ-
ებია. როდესაც გონს მოუყვანიათ, აღ-
ნდა, რომ ქალს მეხსიერება სრულიად
არგნია. აღარ ახსოვდა თურმე რა ერ-
აღარ იცოდა სადა სცხოვრობდა, ვინ
იყო. ამ საოცარ მოვლენას, რასაკვირველია, მკურნალებმა დიდი ყურადღება მიაქციეს. ამისივე გამო ერთმა გაზეთმა საყურადღებო ცნობები შეჰკრიბა ამ გვარ შემთხვევების შესახებ. აი, სხვათა შორის, გაზეთი რას იუწყება. 1845 წელს ერთი ახალგაზდა ქალი, მაგარის აგებულებისა, უცაბედად წყალში ჩავარდნილა, ხოლო როდესაც ამოუყვანიათ, მთელი ექვსი საათი უგრძნობლად ყოფილა. ათის დღის შემდეგ რაღაც უცნაურ, კატალეპსიის მაგვარ, ძილში ჩავარდნილა, ხოლო როდესაც გამოჰღვიძებია, მეხსიერება სრულიად დაკარგული ჰქონდა. ქალს ლაპარაკი დაჰვიწყებოდა, ვეღარავის სცნობდა, იჯდა უგრძნობლად მთელი საათობით იმ ადგილს, სადაც დასვამდნენ; სჭამდა ყველაფერს, რასაც-კი მიუტანდნენ დ არაფერს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. სიცოცხლის ნიშან-წყალი ქალს მხოლოდ თავის დანიშნულად ყოფილისა დ წყლის დანახვის დროს დაეტყობოდა ხოლმე. პირველის დანახვის დროს სიხარულის ღიმი გადაჰკრავდა სახეზედ, წყალი-კი შიშის ზარსა ჰგვრიდა თურმე. ამ მდგომარეობაში ყოფილა ქალი მთელ წელიწადს. შემდეგ ნელნელა გონება დ მეხსიერება დაჰბრუნებია, მაგრამ ის-კი მაინც არ ახსოვდა, რაც თორმეტის თვის განმავლობაში და გადახდენოდა.

მკურნალი კარპანტიე შემდეგ ამბავს გადმოგვცემს. ბრიუსელელი მღვდელი, გვარად გოსსარი, ეტლით ქუჩაში მიდიოდა თურმე. ეტლში მღვდლის გარდა მჯდარან იმისი ცოლი დ პატარა შვილი. ცხენს შეჰშინებია, გაქანებულა, ეტლი რიღაცისთვის მიუჯახებია დ მღვდელი გადმოუგდია. გოსსარს გული შეჰღონებია, ხოლო როდესაც გონს მოსულა, სრულიად აღარ ახსოვდა როგორ დაუფრთხა ცხენი დ როგორ გადმოვარდა ეტლიდგან. ვერც მაშინ დ ვერც შემდეგ ვეღარ მოიგონა თურმე ყველა ის, რაც იმ დღეს შეემთხვა.

შემდეგ უცნაურ ამბავს გადმოგვცემს ფრანგი მკურნალი. ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც საშინლად უყვარდა ქმარი, მშობიარობის შემდეგ ეპილეპტიურ მდგომარეობაში ჩავარდნილა. როდესაც გამორკვეულა, აღარ ახსოვდა თურმე, რომ გათხოვილი იყო დ ბავშვი ჰყვანდა. ვერაფრის გულისათვის ვერ დაარწმუნეს ქალი, რომ გათხოვილი იყო. ქმარსა დ შვილს სულ აღარ ეკარებოდა თურმე. ყველანი მატყუებენო, ამბობდა ხოლმე ქალი. გასულა რამდენიმე თვე დ ქალს მეხსიერება მხოლოდ მაშინ დაჰბრუნებია.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან“)

11 აგვისტო.

პეტერბურგი. 11 ავგისტოს დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და მისი უავგუსტოესი ძმა პრინცი ვოლდემარი მეუღლითურთ დანიაში წაბრძანდნენ.

10 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა, სამხედრო და საზღვაო მინისტრებისა, პეტერბურგის ოლქის ჯართა შტაბის უფროსისა და სხვათა თანხლებით, ინახულეს „მილუტინის“ სიმაგრე, რომელიც მისმა უდიდებულესობამ დაწვრილებით დაათვალიერა. ამ დროს დასავლეთ კორპუსის ესკადრამ ზარბაზნები ესროლა კრონშტადტის ჩრდილოეთ მხარეს და აღმოსავლეთ მხარეზე პიროქსილინის ნაღმი ააფეთქეს. შემდეგ ხელმწიფე იმპარატორი გემით ფინის სრუტის სამხრეთ ნაპირისაკენ წაბრძანდა, ბატარეიები დაათვალიერა, 'მერე ისევ „ალექსანდრია“-ზე დაბრუნდა და პეტერგოფში წაბრძანდა. კრონშტადტის ფორტებმა და კონტრ-ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრამ იმ დღეს რამდენჯერმე საარტილერიო ბრძოლა გამართეს. ბრძოლაში ნაპირზე მდგარმა ბატარეიბმაც მიიღეს მონაწილეობა.

ბუდაპეშტი. ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი პესტიენში მოვიდა. მთავარი რამდენსამე კვირას სამკურნალო წყლებზე დარჩება.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ სწერს: საფრანგეთის ელჩის მოთხოვნილების თანახმად, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა. ამ ბრძანებაში ნათქვამია: ნავთ-სადგურებისა და წყლის სანაპიროების საზოგადოებას არ უნდა დაეშალოს იმ უფლებებით სარგებლობა, რა უფლებებიც კონცესიის ძალით აქვთ მინიჭებულიო. ელიან, რომ სხვა საქმეების თაობაზედაც მალე მორიგდებიან.

12 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი 10 აგვისტოს: „დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული სრულს განკურნებას ადგია. მისი უმაღლესობა დიდი მთავარი დიმიტრი ალექსანდრეს ძე კარგად არის“.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც საადგილ-მამულო ბანკებს ნება ეძლევათ თურქესტანის მხარეში დაიგირაონ ქალაქ გარეშე მდებარე მამულები.

გამოქვეყნებულ იქმნა შინაგან მინისტრის ცირკულიარი გუბერნატორებისა, ქალაქის უფროსებისა და ობერ-პოლიცმეისტრების მიმართ. ამ ცირკულიარში აღნიშნულია ის წესები, რა წესებითაც მოხელეებმა ნება უნდა დართონ ხოლმე საქველმოქმედო წარმოდგენებისა, კონცერტებისა და სხვა გასართობების გამართვისა.

პარიჟი. საფრანგეთის მცხოვრებნი აუწერელის სიხარულით მიეგებნენ იმ მბავს, რომ რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში მიბრძანებას აპირებს. გაზეთები ბეჭდავენ აღტაცებითა და გულწრფელ სურვილებით აღსავსე წერილებს.

პარიჟი. „Figaro“ წინადადებას აძლევს ლუბეს პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლების შესახებ რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში მობრძანებისა გამო. გაზეთის სიტყვით, პრეზიდენტს აზრადა აქვს გაანთავისუფლოს უმაღლესის სასამართლოს განაჩენით დასჯილნი.

ვენა. გაზეთი „Pcl. Kor.“-ი სწერს, რომ რუმაინიის პრინცი ფერდინანდი, იმპერატორის ფრანც-იოსების მიწვევით, დაესწრება ავსტრ-უნგრეთის ჯარების აღლუმსაო.

ლონდონი. ოფიციალური დეპეშა. 7 აგვისტოს უნიონგოდალის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში ბურებმა ინგლისელებს მოუკლეს 4 გუსარი, დაუჭრეს—11; 4 ინგლისელი უკვალოდ დაიკარგა.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ რუსეთის იმპერატორმა თანხმობა გამოაცხადა ლუბეს დაპატიჟებაზეო. იმპერატორი დაესწრება საფრანგეთის ჯარების აღლუმს რეიმსის ახლო. დიუნკირხენში მისვლამდე ხელმწიფ.) იმპერატორი ლუბესთან ერთად დაათვალიერებს ჩრდილოეთ ესკადრას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს მიეგებება საფრანგეთის წყლებში.

პარიჟი. გაზეთები სიხარულით ეგებებიან იმპერატორის მობრძანების ამბავს საფრანგეთში და ამბობენ, რომ ეს დიდ-მნიშვნელოვანი გარემოება არისო, იგი მთელის ქვეყნის ყურადღებას მიიქცევსო. „Petit Par“. სწერს, რომ ამ გარემოებას უთუოდ მოჰყვება რაიმე დიპლომატიური შედეგიო. „Figaro“ ამბობს, რომ იმპერატორის მობრძანებას კეთილი შედეგი მოჰყვებაო. „Matin“-ი სწერს, რომ ლუბეს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იმპერატორმა მოინდომა მისი გაცნობა, მაგრამ ამას დაუშალეს მოულოდნელმა გარემოებებმაო. მისი უდიდებულესობის მობრძანება საფრანგეთში საყოველთაო სიხარულს გამოიწვევს. იმპერატორს ნიკოლოოზს ახლაც ისე მხურვალედ მიეგებებიან, როგორ 1898 წელსაო.

პარიჟი. დელკასე წავიდა დღეს კომპიენში, სადაც დაათვალიერებს სასახლეს, რომელსაც ამზადებენ რუსეთის ხელმწიფისა და დედოფლისათვის. „Figaro“-ს სიტყვით, ისინი ამ სასახლეში დაჰყოფენ რამდენსამე დღეს აღლუმის შემდეგ. აღლუმის შემდეგ რეიმსში გაიმართება ნადიმი, რომელსაც დაესწრებიან ყველა მინისტრები და სამხედრო ატტაშეები. აღლუმში მონაწილეობას მიიღებს 4 კორპუსი, დიუშენისა და კესლერის წინამძღოლობით. მთელი ჟურნალ-გაზეთობა სიამოვნებით სწერს იმპერატორის მობძანების შესახებ.

პარიჟი. ჯერ სავსებით არ შეუმუშავებიათ პროგრამა რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში მობრძანებისა. ხმა დადის, რომ დიუნკირხენში იმპერატორი დაათვალიერებს ჩრდილოეთ ესკადრას და შემდეგ წაბრძანდება კომპიენში და დაესწრება რეიმსის ახლო ჯარების აღლუმს.

პარიჟი. როგორც კი გავრცელდა ამბავი იმპერატორის საფრანგეთში მობრძანების შესახებ, ზოგიერთმა საგენარალო საბჭოებმა დაადგინეს ლუბეს მისალოცი ადრესები გამოუგზავნონ.

პარიჟი. საღამოს გაზეთებიც სიხარულს აცხადებენ რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში მობრძანების შესახებ და ამბობენ, რომ ეს მობრძანება გამოიწვევს საფრანგეთში სამართლიან სიამოვნებასაო. საფრანგეთ-რუსეთის კავშირს უკვე დიდი სამსახური მიუძღვის ისტორიის წინაშე; მისი წარსული გვიჩვენებს, რომ მომავალიც ფრიად ნაყოფიერი ექმნება. ამ მოლოდინის გამამტკიცებელი საბუთია რუსეთის იმპერატორის მობრძანებაო.

პარიჟი. გაზეთების სიტყვით, არ იციან რამდენს ხანს დაჰყოფს რუსეთის იმპერატორი საფრანგეთში. იციან მხოლოდ ის, რომ იმპერატორი დიუნკირხენსა და რეიმსში მივა. გაზეთ „Eklair“-ის რედაქტორთან ლაპარაკის დროს ლუბემ სიხარული გამოსთქვა იმის გამო, რომ რუსეთის იმპერატორის მოსვლის ამბავმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგებზე. მას უხარიან, რომ რუსეთთან კავშირი მეტად ნაყოფიერია, რომ ამ კავშირმა საშუალება მისცა საფრანგეთს ჩინეთში თავისი პროგრამმის შესრულებისა და რომ რუსეთის იმპერატორის საფრანგეთში მიბრძანება ამ კავშირს უფრო განამტკიცებს. „ამ ჟამადაო, დაუმატა პრეზიდენტმა, მათ იმპერატორებით უდიდებულესობის მოგზაურობის ერთად-ერთი მიზეზი საფრანგეთიაო“-ო.

პარიჟი. სენისა და უაზის, ქვემო სენის და პიუი-დე-დომას მთავარმა საბჭოებმა ერთხმად დაადგინეს—მისალმების ადრესები გაუგზავნონ რუსეთის იმპერატორს, რუსეთის დედოფალს და ლუბეს.

პარიჟი. გაზეთები სიხარულით განაგრძობენ მსჯელობას იმპერატორის საფრანგეთში მობრძანების შესახებ. „Matin“-ი სწერს: „დიდმა და გულწრფელმა სიხარულმა მოიცვა მთელი საფრანგეთი დასების განურჩევლად. ყველას სიხარული ეხატებოდა სახეზე, როდესაც ახარებდნენ ერთმანეთს ამ ამბავს. ხალხს გულში სიხარული ჩაესახაო. სხვა გაზეთების წერილებშიც სიხარულია გამოცხადებული ამ ამბის გამო. აქ მიღებული უცხო ქვეყნის გაზეთები ერთხმად აღიარებენ. რომ რუსეთის იმპერატორისა და ლუბეს ერთმანეთის ნახვა განამტკიცებს მშვიდობიანობას და გააძლიერებს ფრანგ-რუსთა კავშირსაო.

პარიჟი. „ჟურნალ“-ის სიტყვით, რუსეთის საელჩო ჰფიქრობს, რომ დიუნკირხენში ჯარების დათვალიერებას რუსეთის დედოფალიც დაესწრება. იმპერატორი და დედოფალი საფრანგეთში ხუთ დღეზე მეტს არ დაჰყოფენო.

ბერლინი. „ვოლფის სააგენტოს“ გაუგონია, რომ რუსეთის იმპერატორი, ვილჰელმის მიწვევით, დაესწრება ფლოტის აღლუმს დანციგთან.

პარიჟი. მთავარი საბჭოები, რომელთაც ეხლა კრებები აქვთ, ულოცავენ ლუბეს რუსეთის იმპერატორის მომავალ მობრძანებას და სთხოვენ გამოუცხადოს იმპერატორსა და დედოფალს საფრანგეთის აღტაცება.

პარიჟი. ლუბე ჩამოვიდა რამბულიედგან და თავმჯდომარეობდა მინისტრთა სხდომაზე. დელკასემ დაახლოვებით გააცნო კრებას რუსეთის იმპერატორის მოგზაურობის პროგრამა. ამ პროგრამის თანახმად, პრეზიდენტი ლუბე გაემგზავრება ჩრდილოეთ ესკადრის თანხლებით და მიეგებება ძვირფას სტუმრებს საფრანგეთის წყლებში; პრეზიდენტს თან გაჰყვებიან სენატისა და პალატის პრეზიდენტები და მინისტრები. ხელმწიფე იმპერატორი იმწამსვე დაათვალიერებს ჩრდილოეთ ესკადრას. საუზმის შემდეგ იმპერატორი და ლუბე დიუნკირხენს გაემგზავრებიან და კომპიენის სასახლეში მივლენ. ერთის დღის შემდეგ ხელმწიფე და ლუბე დაესწრებიან ჯარების აღლუმის დასრულებას. მეოთხე დღეს გაიმართება პარადი; შემდეგ ლუბე მიიწვევს მათ უდიდებულესობასსაუზმეზე რომელსაც სამხედრო უწვება გამართავს; მიწვეულ იქმნებიან აგრეთვე ორისავე პალატის ბიუროების წევრნი და მინისტრები.

პარიჟი. მინისტრთა სხდომის შემდეგ გამოიცა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუსეთის დედოფალი ხმელეთით კი არ მიბრძანდება კონპიენში, როგორც წინად იყო გამოცხადებული, არამედ იმპერატორთან ერთად მობრძანდება გემით და გაემგზავრება დიუნკირხენსაო.

კაპშტატი. ბურები კაპის ახალშენში გადიან სამხრეთით; შეპერსის ჯარი სუტსგორნს ემუქრება.

ტანჟერი. პარიჟიდგანა და პეტერბურგიდგან დაბრუნებული მაროკკოს საელჩო დღეს მოვიდა აქ საფრანგეთის კრეისერით.

ტულუზა. სამხედრო მინისტრმა ანდრემ სიტყვა წარმოსთქვა დღეს ბანკეტზედ და უჩვენა ის, რაც დღევანდელმა მთავრობამ მხედრობისათვის გააკეთა. თან დასძინა, რომ, თუ პოლიტიკას უნდა ერიდებოდეს მხედრობა, სამაგიეროდ ერთან იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებულიო. მინისტრმა დასახელა ბრძოლააი, რომლებშიაც საფრანგეთის მხედრობას ჩინეთში მონაწილეობა მიელო და თავისის მამაცობითა, ამტანლობითა და დისციპლინით უცხოელთა ჯარების განცვიფრება გმოეწვია. სამხრეთს ორანში თავიდგან ავიცილეთ სისხლის ღვრა და ამითი საფრანგეთსა მაროკკოს შორის მეგობრობა განვატკიცეთო. მინისტრმა თავისი სიტყვა ასრე დამთავრა; „ჩვენ, ჩემის ფიქრით, სრული უფლება გვექნება უკვე მოხვეჭილი გამარჯვება მალე საფრანგეთის მეგობარ ერის უავგუსტოეს ხელმწიფეს წარვუდგინოთო ამაყად“

არხანგელსკი. ყველასათვის საყვარელი გუბერნატორი კამერნერი ალექსანდრე პლატონის ძე ენგელგარდტი 12 აგვისტოს გამოგვეთხოვა არხანგელსკელებს. ენგელგარდტი სარატოვის გუბერნიაში იქმნა გადაყვანილი. გამოთხოვებას მრავალი ხალხი დაესწრო და გულითა და დიდის ამბით გააცილეს.

არხანგელსკი. ახალს ხმელეთზედ გაგზავნილ ექსპედიციის უფროსი ბორისოვი შემდეგს ამბავს გვატყობინებს: 10 აპრილი 1901 წ. მატოჩკინის მარი. შარშან ზაფხულის მიწურულში ხომალდით „Merma“-თი ექსპედიცია გაემგზავრა კარსკოე ზღვაში. კანარინის ყურესთან ყველა მხრიდგან ყინული შემოგვეხვა. ან უნდა ხომალდი მიგვეტვებინა და ისე მიგვეღწია ნაპირამდე, რომ აქედგან შემდეგ ფეხით საზამთრო ბინამდე როგორმე მიგვეღწია და აქ გვეცხოვრა, ან-და ხომლდზედ დავრჩენილიყავით და მკაცრი ზამთარი აქ გაგვეტარებინა ათას გვარს გაჭირვებაში. პირველი ვარჩიეთ და ხომალდს თავი მივანებეთ. მხოლოდ მატოჩკინის შორიდან 200 ვერსით სამხრეთით სავნას მდინარესთან ძლივს მივაღწიეთ ნაპირს. ეტუდები და სურათები ამ ზაფხულისა, სამეცნიერო კოლლექციები და ზოგიერთა სამეცნიერო ხელთ საწყობები დაგვეღუპა. მაგრამ ჩვენ გადავრჩით და მშვენივრად მოვიმზამთრიანეთ. ყველანი ჯან-საღადა ვართ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნავოსანთა კრებაზედ დღეს ლაპარაკი იყო, რომ მდინარე კამას დაპატარავებისა გამო საჭირო იქმნება კალაპოტი გაიწმინდოს და ამოღრმავდეს.

ხარკოვი. ალექსეევის ამხანაგობის ორთქლით მომუშავე სამრეცხველო თავისის მატყლით საწყობებითურთ წასრულს ღამეს მთლად გადაიწვა. მატყლი მილიონ-ნახევრათ და სახლი 220 ათას მანეთად იყო დაზღვევებული რუსეთის პირველს საზოგადოებაში. ზარალი გამოანგარიშებული არ არის.

კიევი. 12 აგვისტო. სამხრეთ, დასავლეთ მხარის მაზრებში ახალი მოსავლის პურებით ვაჭრობა მცირეა. ქერსა, ჭვავსა და შვრიაზედ ფასმა თათო ან ორ.-ორის კაპიკით იმატა.

უნივერსიტეტში 900 თხოვნაა წარდგენილი.

პარიჟი. რამბულიედგან დაბრუნებულს პრეზიდენტს ლუბეს გუშინ ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება და უძახოდა: „რუსეთის იმპერიტოს გაუმარჯოსო!„

ბერლინი. როგორც „Nord. Allqom. Zeit-“-ს გაუგონია, იმპერიის კანცლერი ბიულოვი იმპერატორის ედილპელმისა და რუსეთის იმპერატორის შეხვედრას თურმე დაესწრება.

პეტერბურგი. „Goulois“ სიტყვით, მახლობელს სხდომაზედ მინისტრთ უმაღლესის სასამართლოს დადგენილებით დასჯილთა პატიბსეი შესახებ ექმნებათ მსჯელობა.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა სალამოს 7 ს· 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 სალამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიი 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა სალამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის სალამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის სალამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 სალამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი სალამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 სალამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ·).

ფოსტის მატარებელი № 4 სალამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის სალამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის სალამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 სალამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 0 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

საагარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში სალამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში სალამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის სალამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

განცხადებანი



როიალები

პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.
(24—6.—21)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც

თმა სცვივა.



მე, M-me ევგენია ლავო, გამომგონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის

„ფენომენისა,“

ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას. სითხე **„ფენომენი“** იხმარება შაკიკის, ნევრალგიისთ, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიერ გამოგონილი სითხე იხმარა. მსურველთ ვიღებ დილის 10-დგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე. რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.

პატივისცემით ევგენია ლავო

ხსენებული სითხე „ფენომენი“ ნება-დართულია სამკურნალო მმართველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577.
(4—167—2)

ჭიათურის შავის-ქვ
მწარმოებელთა საბჭ

აცხადებს, რომ ამა 1901 წლ
აგვისტოს საბჭოს სადგომში, ქ
ისს, მოხდება **საჯარო ვაჭრო**
რომელზედაც იჯარით გაიცემა
თურაში საავადმყოფოსთან სად
მებისა (სამუშაო 1075 მან.
კაპეიკისაა) და ორის სამრეწვ
გზის გამართვის საქმეები (სამუ
576 მან. 30 კაპ.), სულ 1651
79 კაპეიკისა. იჯარა ერთ
მიცემა. მსურველთ ვაჭრობის
წყებამდე უნდა წარადგინონ
10% საიჯარო თანხისა ნაღდ ფულ
ან სარგებლიან ქაღალდებათ. ხარ
აღრიცხვისა და პირობე'ის გასინჯ
შეიძლება ყოველ დღე საბჭოს
დგომში. ვაჭრობის შედეგი საბჭ
უნდა დაამტკიცოს. (3—6.—1

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა.

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-
სასწავლებლებისათვის.
ოლგას ქუჩა (Ольгинская), №
(10—35—9

საასფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
# დ ე პ ო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ-провизору Алхазову.
(100—43—82)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერ განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მ მზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნ

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერ ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტ ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) სა მერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленiе дурн почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მ ბა დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თ თმეტამდე და სალამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, ხლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტ ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიი მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კან რაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართ კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**